შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“

დირექტორის ბრძანება

№241126 ქ. თბილისი, „26“ ნოემბერი 2024 წ.

„საათობრივი ფინანსური ანაზღაურების წესის — გაცდენილი საათების 30%-ის ზღვარს ზემოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით აღსადგენი საათის ღირებულების დაანგარიშების წესის — დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, კრიტერიუმებისა და პროცედურების, კოლეჯის წესდებისა და დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №241125 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის — პროფესიულ სტუდენტთა დასწრების, გაცდენებისა და გაცდენილი საათების აღდგენის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცდენილი საათების აღდგენის ფინანსური პირობების ერთიანი, კანონზე დაფუძნებული და გამჭვირვალე რეგულირების მიზნით, —

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საათობრივი ფინანსური ანაზღაურების წესი — გაცდენილი საათების 30%-ის ზღვარს ზემოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით აღსადგენი საათის ღირებულების დაანგარიშების წესი“ (დანართი №1), მისი დასაბუთებითურთ (დანართი №2) და დაანგარიშების ფორმითურთ (დანართი №3).
2. დადგინდეს, რომ მოდულის სრული საკონტაქტო და ჩათვლის საათების 30%-ის ზღვარს ზემოთ არასაპატიო გაცდენით გამოწვეული, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით აღსადგენი ერთი საათის ფინანსური ანაზღაურების **ტარიფი განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარით,** თანაბრად ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.
3. გადასახდელი თანხა გამოითვალოს ფორმულით: **30%-ის ზღვარს ზემოთ აღსადგენ არასაპატიო საათთა რაოდენობა × 30 ლარი,** ამ ბრძანების დანართი №1-ის მე-5 მუხლის შესაბამისად.
4. დადგინდეს, რომ საფასური წარმოადგენს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულებას და არ არის ჯარიმა, საურავი ან ვაუჩერული დაფინანსების თანხის უკან მოთხოვნა (შესაბამისობა საქართველოს მთავრობის №244 დადგენილების დანართი №1-ის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტთან).
5. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელმა და ფინანსურმა სამსახურმა უზრუნველყონ ამ წესის აღსრულება, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერმა — მისი შესრულების პერიოდული შიდა კონტროლი.
6. IT სამსახურმა უზრუნველყოს წესის კოლეჯის ვებგვერდზე განთავსება ყველა დაინტერესებული პირისთვის გასაცნობად.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.